სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობა“

მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

სპეციალობა - მუსიკის თეორია

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 71-100.

სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ ჩაბარების მსურველი აბიტურიენტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემოქმედებით ტურებს სპეციალობაში.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

I ეტაპი (ზეპირი)

აბიტურიენტს მოეთხოვება სამი შემოთავაზებული ნაწარმოებიდან ერთ-ერთის გაანალიზება. სამუშაო დრო 2 საათი. ნაწარმოების ანალიზისას ყურადღება შეიძლება გამახვილდეს შემდეგ პრობლემატიკაზე:

1. ნაწარმოების ისტორიულ-სტილური მიმართების დადგენა;
2. შინაარსის ემოციური, ჟანრული, ეროვნული მახასიათებლების განსაზღვრა; კომპოზიციური, ჰარმონიული, ფაქტურული, რიტმული, ტემბრული თვისებების გამოვლენა;
3. ზოგადსტილური დახასიათება მუსიკალურ-ენობრივი პარამეტრების განსაზღვრით;
4. ანალიზის პროცესში დადგენილი ფაქტების არსის გახსნა.

II ეტაპი (ზეპირი)

მცირე ფორმატის გასაუბრება, რომლის დროს აბიტურიენტმა უნდა შეძლოს აკადემიური განვითარებისათვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით საკუთარი თავის წარმოჩენა. მან უნდა გამოავლინოს პროფესიული ინტერესები, კერძოდ, მომავალი სამაგისტრო ნაშრომის პრობლემატიკა და თემატიკა.